სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

2024 წლის საქმიანობის ანგარიში

თბილისი

2025

სარჩევი

შესავალი 3
1. სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მაჩვენებლები 5
1.1 გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა და ტიპები 5
1.2 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულება და ტენდერების სტატუსები 7
1.3 ეკონომია და პრეტენდენტების რაოდენობა ტენდერებში 15
1.4 სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლები და შესყიდვებში გამარჯვებული მიმწოდებლები 23
1.5 შესყიდვები დონორის სახსრებით - DEP ტენდერები 29
2. სამართლებრივი ბაზის სრულყოფა 30
3. ცენტრალიზებული შესყიდვები 33
4. გამარტივებული შესყიდვები 38
5. „თეთრი სიის“ წარმოება 40
6. „შავი სიის“ წარმოება 41
7. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და სასამართლო დავები 42
8. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მონიტორინგი 44
9. ადამიანური რესურსების განვითარება 45
10. მომხმარებლებთან საქმიანი კომუნიკაცია 48
11. საერთაშორისო ურთიერთობები 49
12. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა 60

შესავალი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მუდმივად ახორციელებს სამართლებრივი ბაზის სრულყოფას, ახალი პროცედურებისა და ინსტრუმენტების დანერგვას, რომლებიც უზრუნველყოფენ ევროკავშირის შესყიდვების წესებთან და რეგულაციებთან შესაბამისობას, ასევე ელექტრონული სისტემის (Ge-GP) მოდერნიზებას და პერმანენტულ რეჟიმში უზრუნველყოფს ტენდერების, გამარტივებული და ცენტრალიზებული შესყიდვების გზით განხორციელებული შესყიდვების მონიტორინგსა და ანალიზს.

2024 წელსაც, სახელმწიფოს მიერ არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, რაც მიზნად ისახავდა მთელი ქვეყნის მასშტაბით სკოლებისა და საბავშვო ბაღების რეაბილიტაციას. აღნიშნულის შედეგად, შეიქმნა თანამედროვე და უსაფრთხო სასწავლო გარემო და გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, შესყიდულ იქნა ახალი საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებები, რაც საგრძნობლად შეამცირებს ჰაერის დაბინძურებას და გაზრდის მოქალაქეთა მობილობას. ამასთან, განხორციელდა მაგისტრალური და ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება და ახალი სატრანსპორტო კვანძების მშენებლობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს გადაადგილების უსაფრთხოებას და ეფექტურობას. მსგავსი მასშტაბური პროექტები მიზნად ისახავს არა მხოლოდ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, არამედ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას. ეს კი თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას. ყოველივე აღნიშნული კი, წარმატებულად განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების გზით იქნა მიღწეული.

2024 წელს, 30,000-ზე მეტი ღია ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა, საიდანაც საბოლოო სტატუსი 28,829 შესყიდვის ოპერაციას მიენიჭა. უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული ტენდერების შედეგად დადებული ხელშეკრულებების ზრდადი პროცენტული მაჩვენებელი აისახება შემცირებულ, უარყოფითად დასრულებული შესყიდვების მაჩვენებელზე.



სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით 2024 წელს ხელშეკრულებები ჯამურად 8.1 მილიარდ ლარზე გაფორმდა. აქედან, ელექტრონული და კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით დადებული სახელმწიფო შესყიდვების

ხელშეკრულებების მთლიანმა ღირებულებამ 7 მილიარდ ლარამდე შეადგინა, რაც სახელმწიფო შესყიდვების საერთო მოცულობის 85.5%-ია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში მოცემულ მონაცემებში, კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით 2024 წელს დადებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულება (8.1 მილიარდი ლარი) არ მოიცავს დონორის სახსრებით განხორციელებულ შესყიდვებს (DEP ტენდერები), სპეციალური წესით გამოცხადებული ტენდერებსა (GEO ტენდერები) და საგრანტო კონკურსებს (GRA კონკურსები).

გამარტივებული შესყიდვების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ კი - 1,182,743,811 ლარი (რაც სახელმწიფო შესყიდვების საერთო მოცულობის 14.5%) შეადგინა.

ცენტრალიზებული (კონსოლიდირებული) შესყიდვის გზით 2024 წელს 305 ღია ტენდერში გამარჯვებული გამოვლინდა 31 სხვადასხვა სახეობის შესყიდვის ობიექტზე, რომლის საწყისმა სავარაუდო ჯამურმა ღირებულებამ 626,757,764 ლარი შეადგინა, საბოლოო ღირებულებამ კი - 610,373,220 ლარი; შესაბამისად, მხოლოდ ცენტრალიზებული შესყიდვების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ 16 მილიონ ლარს გადააჭარბა.

მხოლოდ 2024 წელს, ელ.სისტემაში დარეგისტრირდა 3,243 ახალი მიმწოდებელი და ჯამურად რეგისტრირებულ მიმწოდებელთა რაოდენობამ 59,475 შეადგინა; აქედან, 77 ქვეყნის წარმომადგენელი, 2,623 არარეზიდენტი მიმწოდებელი ფიქსირდება სხვადასხვა კონტინენტიდან. ამასთანავე, 2024 წელს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემაში დარეგისტრირდა 61 ახალი შემსყიდველი ორგანიზაცია და მათმა რიცხვმა წლის ბოლოსთვის 4,751 შეადგინა.

აღსანიშნავია, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის მიერ 2024 წელს განხორციელებული სხვადასხვა სახის ღონისძიებები და ტრენინგების ციკლი, რომლებიც რამდენიმე განახლებული და განსხვავებული პროგრამით განხორციელდა, რის შედეგადაც გადამზადდნენ სახელმწიფო სექტორში დასაქმებული საჯარო მოხელეები. 2024 წელს გადამზადებული და სერტიფიცირებული მსმენელების რაოდენობამ 273, ხოლო 2014-2024 წლებში ჯამურად 7,292 შეადგინა.

ასევე, სააგენტოს მიერ 2024 წლის განმავლობაში მომზადდა და დადგენილი წესით გამოიცა არაერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტი. მომზადდა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კვარტალური და წლიური გეგმები და ანგარიშები, ასევე მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ზოგადად, საჯარო შესყიდვების მთლიანი ეკო-სისტემის ეფექტიანობა და გამჭვირვალობა მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს სახელმწიფო პროექტების სწრაფ და ხარისხიან განხორციელებას, ყველა შესაძლო კორუფციული რისკის გამორიცხვით, რაც პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და მოქალაქეთა კეთილდღეობაზე.

1. სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მაჩვენებლები

1.1 გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა და ტიპები

2024 წელს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდეგ: eProcurement სისტემა ან ელ.სისტემა) მეშვეობით, 30,014 ღია ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა.

აქედან, დაახლოებით 88.6% განეკუთვნებოდა NAT ტიპის ტენდერებს, 6.4% - SPA ტენდერებს და 5% ყველა დანარჩენ შესყიდვის ელექტრონულ პროცედურას. 2024 წელს გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა 6.43%-თ ნაკლებია 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით[1].

დიაგრამა N1: 2024 წელს გამოცხადებული ელექტრონული შესყიდვების პროცედურების რაოდენობა შესყიდვის ტიპების მიხედვით



2024 წლის მონაცემებით ყველაზე მეტი ტენდერი კვლავ ნოემბერ/დეკემბრის თვეებში გამოცხადდა, რაც განპირობებულია მომდევნო წლისათვის საჭირო შესყიდვების დროულად განხორციელების აუცილებლობით.

[1] 2023 წელს *eProcurement* სისტემაში გამოცხადდა 32,076 სატენდერო პროცედურა.

დიაგრამა N2: 2024 წელს გამოცხადებული ტენდერების განაწილება თვეების მიხედვით



დიაგრამა N3: 2023 წელს გამოცხადებული ტენდერების განაწილება თვეების მიხედვით



1.2 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულება და ტენდერების სტატუსები

2024 წელს, საბოლოო სტატუსი მიენიჭა 28,829[2] ტენდერს. აღსანიშნავია, გაზრდილი დადებული ხელშეკრულებების პროცენტული წილი. 2024 წელს დადებული ხელშეკრულების რაოდენობამ 21,859 (76%) შეადგინა, ხოლო აღნიშნული მაჩვენებელი 2023 წელს 22,953 (74%) იყო. არ შემდგარი, უარყოფითი შედეგით დასრულებული და შეწყვეტილი ტენდერების სტატუსმა კი 24% (6,970 ტენდერი) შეადგინა.

დასრულებული ტენდერების საბოლოო სტატუსების დეტალური რაოდენობა ასახულია ქვემოთ მოცემულ N4 დიაგრამაზე.

დიაგრამა N4: 2024 წელს ტენდერებზე მინიჭებული საბოლოო სტატუსები[3]



.

2024 წელს, ყველაზე მეტი ხელშეკრულება სხვადასხვა საქონლის 9,588 (43%) შესყიდვაზე დაიდო, 6,889 (31%) ხელშეკრულება მომსახურების შესყიდვაზე გაფორმდა, ხოლო 5,728 (26%) ხელშეკრულება სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით გაფორმდა. ტენდერების მეშვეობით გაფორმებული ხელშეკრულებების გადანაწილება შესყიდვის კატეგორიების მიხედვით ასახულია N 5 დიაგრამაზე.

[2] გამოცხადებული ტენდერების რაოდენობასა და საბოლოო სტატუს მინიჭებული ტენდერების რაოდენობებს შორის სხვაობა განპირობებულია იმით, რომ გამოცხადებული ტენდერები მოიცავს მხოლოდ იმ ტენდერებს, რომლებიც გამოცხადდა 2024 წლის განმავლობაში, ხოლო 2024 წელს საბოლოო სტატუს მინიჭებული ტენდერები მოიცავს როგორც 2024 წელს ასევე, წინა წლებში გამოცხადებულ სახელმწიფო ტენდერებს.
[3] მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

დიაგრამა N5: 2024 წელს დადებული ხელშეკრულებების განაწილება შესყიდვის ობიექტების მიხედვით



2024 წელს 8,142,040,776 ლარი შეადგინა სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ / GDP) დაახლოებით 9%-ია[4]. აქედან, მხოლოდ ელექტრონული და კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულებამ 7 მილიარდ ლარამდე შეადგინა, რაც სახელმწიფო შესყიდვების საერთო მოცულობის 85.5%-ია.

[4] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით 2024 წლის მთლიანი შიდა პროდუქტი უტოლდება 91 891.8 მილიარდ ლარს. წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp

დიაგრამა N6: სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამური ღირებულებები წლების მიხედვით (მლრდ. ლარი)



1,182,743,811 ლარი შეადგინა გამარტივებული შესყიდვების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ (14.5%). აქედან, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სუბსიდიებმა 2024 წელს 100,000,000 ლარი შეადგინა (გამარტივებული შესყიდვების 8%), მონეტარული ზღვრის დაცვით განხორციელებულმა გამარტივებულმა შესყიდვებმა ჯამურად 162,662,592 ლარი (14%), ხოლო ყველა სხვა დანარჩენმა სახეობის კონვენციურმა გამარტივებული შესყიდვების წილმა 920,081,219 ლარი (78%) შეადგინა.

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულებების გადანაწილება მათი საფუძვლების მიხედვით დეტალურად ნაჩვენებია N7, N8 და N9 დიაგრამებზე.

დიაგრამა N7: 2024 წელს სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულება



დიაგრამა N8: 2024 წელს გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულება



დიაგრამა N9: 2024 წელს გამარტივებული შესყიდვების, სუბსიდიების, ელექტრონული ტენდერების და კონსოლიდირებული ტენდერების მოცულობები



2024 წელს, 10,000 ლარიდან 20,000 ლარამდე ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება შემცირებულია, მაშინ როდესაც 2023 წელთან შედარებით გაზრდილია 20,000 ლარიდან 40,000 ლარამდე ჩატარებული ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება. ასევე, შემცირებულია 10,000 ლარიდან 30,000 ლარამდე ტენდერების რაოდენობების განაწილებაც. აღნიშნული ცვლილებები გამოწვეულია საქონელი/მომსახურებასა და სამშენებლო სამუშაოებზე გაზრდილი მონეტარული ზღვრებით.

აღნიშნული მონაცემები დეტალურად მოცემულია N1 და N2 ცხრილებში.

ცხრილი N1: 2023 და 2024 წლებში ჩატარებული ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება თანხობრივ ჭრილში[5]

სახელშეკრულებო ღირებულება	2024 წელი		2023 წელი
10,000და ნაკლები	25,606,857	↓	32,591,006
10,001 - 20,000	50,421,874	↓	54,895,742
20,001 - 30,000	54,794,442	↑	54,522,536
30,001 - 40,000	50,869,715	↑	49,789,162
40,001 - 50,000	49,218,885	↓	52,037,126
50,001 - 100,000	210,945,201	↑	202,345,480
100,001 - 200,000	337,146,680	↑	309,013,089
200,001 და მეტი	5,569,920,191	↓	7,466,678,565
სულ:	**6,348,923,845**	↑	**8,221,872,706**

ცხრილი N2: 2023 და 2024 წლებში ჩატარებული ტენდერების რაოდენობები სახელშეკრულებო ღირებულების ჭრილში[6]

სახელშეკრულებო ღირებულება	2024 წელი		2023 წელი
10,000 და ნაკლები	4,969	↓	6,185
10,001 - 20,000	3,381	↓	3,685
20,001 - 30,000	2,173	↓	2,177
30,001 - 40,000	1,437	↑	1,409
40,001 - 50,000	1,082	↓	1,146
50,001 - 100,000	2,904	↑	2,787
100,001 - 200,000	2,316	↑	2,125
200,001 და მეტი	3,597	↑	3,439
სულ:	**21,859**	↓	**22,953**

ქვემოთ მოცემულ N3 და N4 ცხრილებში დაანგარიშებულია ყველაზე დიდი მოცულობის შესყიდვების მქონე ორგანიზაციების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება და ასევე, იმ

[5] მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.
[6] მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

ყველაზე მსხვილი ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება, რომლებიც დაიდო გარკვეულ CPV კატეგორიებზე.

ტენდერების მეშვეობით გაფორმებული ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების ჭრილში პირველ ადგილს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იკავებს 121 ხელშეკრულება დადებული ტენდერით, რომლის ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ 991 მილიონ ლარს გადააჭარბა. მეორე და მესამე პოზიციებს იმავე სამინისტროს შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია 403,277,874 ლარითა (დადებული ხელშეკრულების რაოდენობა 107) და ქ. თბილისის მერია 208,121,574 ლარი (დადებული ხელშეკრულების რაოდენობა 107) იკავებენ.

ცხრილი N3: 2024წელს „ტოპ 10“ შემსყიდველი ორგანიზაცია ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების მიხედვით[7]

N	შემსყიდველი ორგანიზაცია	ხელშეკრულება დადებული ტენდერების რაოდენობა	სახელშეკრულებო ღირებულების ჯამი
1	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	121	991,379,185
2	შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	107	403,277,874
3	ქ. თბილისის მერია	219	280,121,574
4	ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	112	202,280,278
5	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	44	159,597,340
6	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	154	157,113,666
7	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	530	145,447,993
8	თბილისის სატრანსპორტო კომპანია	197	129,281,836
9	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	53	113,574,223
10	სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	68	106,899,950
	სულ		2,688,973,919

[7] ცხრილში არსებული მონაცემები მოიცავს ელექტრონულ ტენდერებს (მათ შორის შესყიდვებს პრეისკურანტით) და არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

შესყიდვის კატეგორიის ჭრილში ჯამურად ყველაზე მეტი ხელშეკრულება „CPV45200000 მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოებისა და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოებზე“ დაიდო. აღნიშნული ხელშეკრულებების რაოდენობამ 4,080, ხოლო ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ 3,731,052,526 ლარი შეადგინა (იხ. ცხრილი N4).

ცხრილი N4: 2024 წელს „ტოპ 10“ CPV კატეგორია ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების მიხედვით[8]

N	CPV კატეგორია	ხელშეკრულების რაოდენობა	ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება
1	45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	4,080	3,731,052,526
2	45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები	660	268,824,270
3	45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	388	203,898,237
4	50100000 - სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	925	150,917,279
5	34100000 - ავტოსატრანსპორტო საშუალებები	195	140,684,053
6	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	597	135,913,979
7	45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	485	133,655,845
8	66500000 - სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები	121	116,159,324
9	71300000 - საინჟინრო მომსახურებები	1062	62,383,860
10	90900000 - დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება	236	62,366,481

[8] ცხრილში არსებული მონაცემები მოიცავს ელექტრონულ ტენდერებს (მათ შორის შესყიდვებს პრეისკურანტით) და არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

1.3 ეკონომია და პრეტენდენტების რაოდენობა ტენდერებში

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვიდან 2024 წლის ჩათვლით ელექტრონული პროცედურების გამოყენების შედეგად, სავარაუდო და სახელშეკრულებო ღირებულებებს შორის სხვაობამ 4.6 მილიარდ ლარს გადააჭარბა (იხ.ცხრილი N5).

ცხრილი N5: ეკონომიის მაჩვენებლები 2010- 2024 წლებში დასრულებულ ტენდერებში

წელი	ჯამური ეკონომია ლარში
2010-2011	191,478,127
2012	155,610,107
2013	231,053,588
2014	241,132,563
2015	299,704,216
2016	278,435,040
2017	258,395,794
2018	285,736,820
2019	354,097,061
2020	416,575,867
2021	604,987,814
2022	423,761,645
2023	451,239,315
2024	472,051,759
სულ	**4,664,259,716**

წინა წელთან შედარებით გაზრდილია მთლიანი ეკონომიის პროცენტული მაჩვენებელი 1.8%-ული პუნქტით. სხვადასხვა სახის საქონლის, მომსახურების და სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად ჯამურად 5,338,345,533 ლარზე დაიდო ხელშეკრულება, ხოლო სავარაუდო და სახელშეკრულებო ღირებულებებს შორის სხვაობამ 472,051,759 ლარი[9] (8.1%) შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებლის პერმანენტური ზრდა მიგვითითებს სახელმწიფო შესყიდვების არსებული ეკოსისტემის ეფექტიანობაზე და სარგებლიანობაზე.

პროცენტულად ყველაზე დიდი ეკონომია საქონლის შესყიდვისას დაფიქსირდა, ხოლო თანხობრივ ჭრილში სამშენებლო სამუშაოების შემთხვევაში (იხ. ცხრილი N6).

ერთ მილიარდ ლარს აღემატება მხოლოდ საქონლის ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება, მომსახურების სფეროში 764 მილიონამდე გაფორმდა ხელშეკრულებები,

[9] მიღებული ეკონომიის მაჩვენებლების დათვლის მიზნით მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, B2B, CON, GRA და პრეისკურანტიან ტენდერებს.

ხოლო სამშენებლო სამუშაოებზე ანალოგიურმა მაჩვენებელმა 3.5 მილიარდ ლარს გადააჭარბა.

ცხრილი N6: ეკონომიის მაჩვენებლები 2024 წელს დასრულებულ ტენდერებში

შესყიდვის კატეგორია	სავარაუდო ღირებულება	ბოლო შეთავაზება	ეკონომია	%
საქონელი	1,141,271,559	1,002,885,823	138,385,736	12.1%
მომსახურება	828,269,936	763,365,227	64,904,709	7.8%
სამშენებლო სამუშაოები	3,840,855,797	3,572,094,483	268,761,314	7.0%
სულ	**5,810,397,292**	**5,338,345,533**	**472,051,759**	**8.1%**

N10 დიაგრამაზე ასახულია მიღებული ეკონომიის მოცულობები შესყიდვების სხვადასხვა კატეგორიების ჭრილში.

დიაგრამა N10: ეკონომიის მაჩვენებლები 2024 წელს დასრულებულ ტენდერებში



ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ასახულია ტენდერების შედეგად მიღებული ეკონომიის მაჩვენებლები შემსყიდველი ორგანიზაციებისა და CPV კატეგორიების მიხედვით (ცხრილები N7 და N8). აღნიშნულ ცხრილებში მოცემულია „ტოპ 10“ შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელთა მიერ გამოცხადებულ ტენდერებში დაფიქსირდა ყველაზე მაღალი ეკონომია და ასევე, ის „ტოპ 10“ CPV კატეგორია, რომლებშიც ტენდერების შედეგად დაიზოგა ყველაზე მეტი თანხა.

ცხრილი N7: 2024 წელს „ტოპ 10“ შემსყიდველი ორგანიზაცია ეკონომიის მიხედვით[10]

N	შემსყიდველი ორგანიზაცია	ტენდერის სავარაუდო ღირებულება	ბოლო შეთავაზება ტენდერში	ეკონომია	%
1	ქ. თბილისის მერია	316,983,956	278,346,574	38,637,382	12%
2	შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	394,597,947	358,623,898	35,974,049	9%
3	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	436,060,219	404,028,185	32,032,034	7%
4	ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	220,733,313	201,617,289	19,116,024	9%
5	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	155,548,122	137,191,546	18,356,576	12%
6	სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	117,747,324	106,875,950	10,871,374	9%
7	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	119,000,518	108,404,223	10,596,295	9%
8	სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	43,571,507	35,657,604	7,913,903	18%
9	ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობა	41,224,760	33,811,245	7,413,515	18%
10	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	44,456,577	38,676,630	5,779,947	13%
	სულ:				186,691,099

[10] ცხრილში მოცემულია მხოლოდ ის „ტოპ 10“ შესყიდვის კატეგორია, რომლებზეც საანგარიშო წლის განმავლობაში გამოცხადებული იყო სულ მცირე 50 ელექტრონული ტენდერი. ცხრილში არსებული მონაცემები მოიცავს ელექტრონულ ტენდერებს (არ მოიცავს შესყიდვებს პრეისკურანტით) და არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

ცხრილი N8: 2024 წელს „ტოპ 10“ CPV კატეგორია ეკონომიის მიხედვით[11]

N	CPV კატეგორია	ტენდერის სავარაუდო ღირებულება	ზოლო შეთავაზება ტენდერებში	ეკონომია	%
1	45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	316,983,956	278,346,574	38,637,382	12%
2	45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	394,597,947	358,623,898	35,974,049	9%
3	71300000 - საინჟინრო მომსახურებები	436,060,219	404,028,185	32,032,034	7%
4	45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები	267,330,980	245,377,123	21,953,857	8%
5	34100000 - ავტოსატრანსპორტო საშუალებები	155,548,122	137,191,546	18,356,576	12%
6	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	117,747,324	106,875,950	10,871,374	9%
7	71200000 - არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	119,000,518	108,404,223	10,596,295	9%
8	33100000 - სამედიცინო მოწყობილობები	43,571,507	35,657,604	7,913,903	18%
9	45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	41,224,760	33,811,245	7,413,515	18%
10	66500000 - სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები	44,456,577	38,676,630	5,779,947	13%
			სულ:		189,528,932

[11] ცხრილში მოცემულია მხოლოდ ის „ტოპ 10“ შესყიდვის კატეგორია, რომლებზეც საანგარიშო წლის განმავლობაში გამოცხადებული იყო სულ მცირე 50 ელექტრონული ტენდერი. ცხრილში არსებული მონაცემები მოიცავს ელექტრონულ ტენდერებს (არ მოიცავს შესყიდვებს პრეისკურანტით) და არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

მცირედით გაზრდილია პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა (2.02) წინა წელთან შედარებით. ასევე გაზრდილია პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა სამშენებლო სამუშაოებზე - 2.38; პრეტენდენტების საშუალო რაოდენობამ შეადგინა 2.03 - საქონლის, ხოლო 1.7 - მომსახურების CPV კატეგორიებზე გამოცხადებულ ტენდერებში.

დიაგრამა N11: 2024 წელს პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა შესყიდვის ობიექტის მიხედვით[12]



გასულ წელთან შედარებით, საშუალო მონაწილეობა გაზრდილია NAT ტიპის ტენდერებში. 1.98-იდან საშუალო მონაწილეობა გაიზარდა 2.05-მდე NAT ტიპის ტენდერებში , ხოლო SPA ტიპის ტენდერებში საშუალო მონაწილეობა 1.60 დაფიქსირდა.

[12] პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა დათვლილია 2023 წელს დასრულებულ იმ ტენდერებში, რომლებზეც დადებულია სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები.
მონაცემებში არ შედის GEO, DEP, GRA, CON და B2B ტენდერები.

დიაგრამა N12: 2023 წელს პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა ტენდერის ტიპების მიხედვით



დიაგრამა N13:2024 წელს პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა ტენდერის ტიპების მიხედვით



ზემოხსენებული სტატისტიკური მონაცემების გარდა, მომდევნო ცხრილებში (N8 და N9) ასახულია პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა, როგორც ცალკეულ CPV კოდებზე, ასევე შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული ტენდერების მიხედვით.

საანგარიშო პერიოდში, პრეტენდენტების საშუალო რაოდენობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 3.54 დაფიქსირდა „CPV 18200000 - გარედან ჩასაცმელ ტანსაცმელის“ გამოცხადებულ ტენდერებში, ხოლო შემსყიდველი ორგანიზაციების მიხედვით საშუალო პრეტენდენტების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო (ა)იპ ხელვაჩაურის მუნიციპალური ინსპექციის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში (იხ. N9 და N10 ცხრილები).

ცხრილი N9: 2024 წელს „ტოპ 10“ CPV კატეგორია პრეტენდენტების ყველაზე მაღალი საშუალო რაოდენობით[13]

N	CPV კოდი	მიმწოდებლების რაოდენობა	ტენდერების რაოდენობა	პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა
1	18200000 - გარედან ჩასაცმელი ტანსაცმელი	90	319	3.54
2	18100000 - სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები	77	233	3.03
3	44500000 - ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჭაჯვები და ზამბარები/რესორები	64	191	2.98
4	31100000 - ელექტროძრავები, გენერატორები და ტრანსფორმატორები	68	192	2.82
5	39500000 - ქსოვილის ნივთები	169	473	2.80
6	33700000 - პირადი ჰიგიენის საშუალებები		416	2.65
7	45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	387	1,006	2.60
8	39100000 - ავეჯი	243	628	2.58
9	22400000 - მარკები, ჩეკების წიგნაკები, ბანკნოტები, აქციები, სარეკლამო მასალა, კატალოგები და სახელმძღვანელოები	85	217	2.55
10	18400000 - სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარები	74	184	2.49

[13] ცხრილში მოცემულია მხოლოდ ის „ტოპ 10“ შესყიდვის კატეგორია, რომლებზეც საანგარიშო წლის განმავლობაში გამოცხადებული იყო სულ მცირე 50 ელექტრონული ტენდერი. ცხრილში არსებული მონაცემები მოიცავს ელექტრონულ ტენდერებს (მათ შორის შესყიდვებს პრეისკურანტით) და არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

ცხრილი N10: 2024 წელს „ტოპ 10“ შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტების ყველაზე მაღალი საშუალო რაოდენობით[14]

N	შემსყიდველი ორგანიზაცია	პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა
1	ა(ა)იპ ხელვაჩაურის მუნიციპალური ინსპექციის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	4.23
2	თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო	3.19
3	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერია	2.98
4	თვითმმართველი ერთეული ჭიათურის მუნიციპალიტეტი	2.96
5	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია	2.89
6	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	2.88
7	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	2.85
8	ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტო	2.84
9	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2.84
10	შპს "საქართველოს ფოსტა"	2.75

[14] ცხრილში მოცემულია მხოლოდ ის „ტოპ 10“ შესყიდვის კატეგორია, რომლებზეც საანგარიშო წლის განმავლობაში გამოცხადებული იყო სულ მცირე 50 ელექტრონული ტენდერი. ცხრილში არსებული მონაცემები მოიცავს ელექტრონულ ტენდერებს (მათ შორის შესყიდვებს პრეისკურანტით) და არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

1.4 სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლები და შესყიდვებში გამარჯვებული მიმწოდებლები

2024 წელს, eProcurement სისტემაში დარეგისტრირდა 3,243 ახალი ბიზნეს სუბიექტი და ჯამში რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობამ, წლის ბოლოსთვის 59,475 შეადგინა (იხ. დიაგრამა N14). აღსანიშნავია, სისტემაში რეგისტრირებული არარეზიდენტი მიმწოდებლების ზრდაც. 2024 წლის ბოლოს, 118 ახალი არარეზიდენტი მიმწოდებელი დარეგისტრირდა და ამჟამად ჯამურად 77 ქვეყნის 2,623 არარეზიდენტი მიმწოდებელია რეგისტრირებული რომლებიც აქტიურად იღებენ მონაწილეობას გამოცხადებულ ტენდერებში.

ამასთანავე, სისტემას დაემატა 61 ახალი შემსყიდველი ორგანიზაცია და მათმა რიცხვმა წლის ბოლოსთვის შეადგინა 4,751.

დიაგრამა N14: eProcurement სისტემაში რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობა წლების მიხედვით



დეტალური ინფორმაცია არარეზიდენტი ეკონომიკური ოპერატორების შესახებ ნაჩვენებია დიაგრამა N 15-ზე.

დიაგრამა N15: eProcurement სისტემაში რეგისტრირებული არარეზიდენტი მიმწოდებლების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით


409
397
212
160
147
133
112
77
69
61
55
50
49
47
46
41
37
37
37
36
33
31
18
17
17
16
16
15
15
15
14
13
13
11
10
10
9
8
7
7
7
6
6
6
5
5
5
3
3
3
3
3
2
2
2
1
1
1

დიაგრამა N16: 2024 წელს ტენდერების საფუძველზე არარეზიდენტ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულების წილი



ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია 2024 წელს ტენდერების საფუძველზე არარეზიდენტ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ქვეყნების მიხედვით. არარეზიდენტ კომპანიებთან გაფორმებული 156,107,341 ლარიდან, ყველაზე დიდი წილი - 34,178,175 ლარისა და 28,874,157 ლარის ხელშეკრულებების ღირებულების კონტრაქტები გაფორმდა საფრანგეთსა და თურქეთში მოღვაწე კომპანიებთან, შემდეგ მოდის შვეიცარული კომპანიები 24 მილიონ ლარზე მეტი ხელშეკრულების ღირებულებით და უნგრული კომპანიები 21 მილიონ ლარამდე დადებული ხელშეკრულებების ღირებულებით (იხ. ცხრილი N11).

ცხრილი N11: 2024 წელს ტენდერების საფუძველზე არარეზიდენტ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება ქვეყნების მიხედვით

ქვეყანა	ხელშეკრულების ღირებულების ჯამი
საფრანგეთი	34,178,175
თურქეთი	28,874,157
შვეიცარია	24,717,257
უნგრეთი	20,026,043
გერმანია	11,291,494
აშშ	9,164,576
ესპანეთი	6,202,493
ბულგარეთი	5,708,537
დანია	3,967,643
იტალია	3,735,152
ლიტვა	426,680
ნიდერლანდები	2,641,897
დიდი ბრიტანეთი	1,280,162
ფინეთი	1,273,953
ყაზახეთი	1,030,050
ნორვეგია	1,012,809
ბელგია	337,655
უკრაინა	238,608
სულ	156,107,341

ცხრილი N12: 2024 წელს ტენდერების საფუძველზე არარეზიდენტ მიმწოდებლებთან გაფორმებული „ტოპ 10“ ხელშეკრულება ღირებულების მიხედვით

N	ტენდერის ტიპი	შემსყიდველი ორგანიზაცია	ქვეყანა	მიმწოდებელი	შესყიდვის კატეგორია	ხელშეკრულების ღირებულება
1	NAT240013816	თვითმმართველი ქალაქი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	თურქეთი	otokar otomotiv ve savunma sanayi anonim sirketi	34100000 - ავტოსატრანსპორტო საშუალებები	19,850,880
2	NAT240000862	სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	უნგრეთი	Sanofi-Aventis Private Co. Ltd	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	19,694,173
3	NAT240000788	სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	შვეიცარია	F.Hoffmann-La Roche Ltd	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	17,609,009
4	NAT240007664	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	საფრანგეთი	EGIS International	71500000 - მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებები	14,175,000
5	NAT240003831	ს.ს.ი.პ. "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"	საფრანგეთი	Sanofi Pasteur	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	12,270,300
6	NAT240003280	საზოგადოებრივი მაუწყებელი	გერმანია	Broadcast Solutions GmbH	32300000 - ტელე- და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო- ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა	10,969,999
7	NAT230021830	შპს საქაერონავიგაცია	აშშ	Indra Air Traffic Inc.	34900000 - სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობა და სათადარიგო ნაწილები	7,388,391
8	NAT240003832	ს.ს.ი.პ. "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"	საფრანგეთი	Sanofi Pasteur	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	6,857,200
9	NAT240017072	შპს საქაერონავიგაცია	ესპანეთი	INDRA SISTEMAS S.A.	38100000 - სანავიგაციო და მეტეოროლოგიური ხელსაწყოები	6,202,493
10	SPA240000047	სსიპ სსსტც "დელტა"	ბულგარეთი	Stroyproject Ltd	24600000 - ფეთქებადი ნივთიერებები	5,708,537
	სულ					120,725,982

2024 წელს არარეზიდენტ მიმწოდებლებთან ტენდერების მეშვეობით გაფორმებული „ტოპ 10“ ყველაზე მსხვილი ხელშეკრულების ღირებულებამ 120 მლნ. ლარს გადააჭარბა. ყველაზე მაღალი ღირებულების ხელშეკრულება გაფორმდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში (19,850,880 ლარის), „CPV 34100000 - ავტოსატრანსპორტო საშუალებების“ შესყიდვის კატეგორიაზე (იხ. N12 ცხრილი).

1.5 შესყიდვები დონორის სახსრებით - DEP ტენდერები

2024 წელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ხელშეკრულება გაფორმდა 41 DEP ტიპის ელექტრონულ ტენდერში (შესყიდვები დონორი ორგანიზაციების სახსრებით), რომლებიც დაფინანსებული იყო სხვადასხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და დონორების სახსრებით. აღნიშნული ტენდერების საერთო სავარაუდო ღირებულებამ 448 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია ხელშეკრულებების ღირებულების და რაოდენობის გადანაწილება დონორებისა და შემსყიდველი ორგანიზაციების მიხედვით.

ცხრილი N13: 2024 წელს DEP ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების გადანაწილება დონორების მიხედვით

დონორი	DEP ტენდერების რაოდენობა	სახელშეკრულებო ღირებულება ლარში
მსოფლიო ბანკი	36	420,300,153
ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი	1	4,696,243
აზიის განვითარების ბანკი	1	4,914,720
სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია	3	18,785,766
სულ	**41**	**448,696,882**

ცხრილი N14: 2024 წელს DEP ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების გადანაწილება შემსყიდველი ორგანიზაციების მიხედვით

შემსყიდველი ორგანიზაცია	DEP ტენდერების რაოდენობა	სახელშეკრულებო ღირებულება ლარში
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	31	165,736,708.00
ოუფენ ნეტი	4	66,347,448.00
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	3	3,417,600.00
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	2	646,736.00
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	1	212,548,390.00
სულ	41	448,696,882

2. სამართლებრივი ბაზის სრულყოფა

2024 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ძალისხმევა მომართული იყო მოქმედი სამართლებრივი ბაზის სრულყოფის, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების დახვეწის, ქვეყნის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისა და საჯარო შესყიდვების რეფორმის ეფექტიანი იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად.

საგულისხმოა, რომ სააგენტოსა და ევროკომისიის შესაბამის დირექტორატთან გამართული კონსულტაციების შედეგად, გამოიკვეთა არაერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა და კომენტარი, რომელთა ანალიზის შედეგად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება, რომელშიც ასახვას ჰპოვებს ასევე ე.წ. „კომუნალური სექტორის“ და „თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის“ შესყიდვების რეგულაციები. განსახორციელებელი ცვლილებების მასშტაბურობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ძირითადი დებულებების ამოქმედების თარიღად ნაცვლად 2025 წლის 1 იანვრისა, განსაზღვრულიყო 2027 წლის 1 იანვარი.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის განმავლობაში სააგენტო ასევე აქტიურად მუშაობდა „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დახვეწისა და სრულყოფის მიმართულებით. აღნიშნული აქტები, თავის მხრივ, ევროკავშირის შესაბამისი სამართლებრივი აქტების მოთხოვნების გათვალისწინებითა და კანონით განსაზღვრული ახალი შესაძლებლობების, პროცედურების, ინსტრუმენტებისა თუ ინოვაციური მიდგომების ჰარმონიული ინტეგრირების უზრუნველსაყოფად, მიღებულ უნდა იქნეს 2027 წლის 1 იანვრამდე.

ამდენად, საჯარო შესყიდვების სფეროს რეფორმირების შედეგად, ეროვნული კანონმდებლობა უფრო მეტად დაუახლოვდება ევროკავშირის შესაბამის დირექტივებსა და რეგულაციებს საჯარო შესყიდვების სფეროში, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და შესაბამისად, ევროკავშირთან საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დაახლოებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საგულისხმოა, რომ 2024 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მომზადდა და დადგენილი წესით გამოიცა არაერთი მნიშვნელოვანი კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტი, კერძოდ:

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 26 იანვრის №52 და №53 ბრძანებებით ცვლილება შევიდა „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებასა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებაში. განხორციელებული ცვლილების შედეგად, მოწესრიგდა ტენდერის/კონკურსის შეწყვეტის შემთხვევაში სატენდერო/საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის

გარანტიის დაბრუნების წესი და დადგინდა, რომ ელექტრონული ტენდერის/კონკურსის შეწყვეტის შესახებ სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, პრეტენდენტს ელექტრონული გარანტია დაუბრუნდება საჩივრის დაუშვებლად ცნობის/გახმობის ან საბჭოს მიერ გადაწყვეტილების (რომლითაც არ დაკმაყოფილდა საჩივარი) სისტემაში ატვირთვის შემდეგ, დაუყოვნებლივ, თუ ტენდერის/კონკურსის შეწყვეტიდან გასულია 10 დღე. ამასთან, ამავე ცვლილებებით მოწესრიგდა ელექტრონული გარანტიის დაბრუნების წესი, თუ მისი დაბრუნების ვადა შაბათ-კვირას ან უქმე დღეს ემთხვევა და განისაზღვრა რომ ასეთ შემთხვევაში, პრეტენდენტს ელექტრონული გარანტია დაუბრუნდება მომდევნო სამუშაო დღის დასრულებისთანავე. აღნიშნული ცვლილებები ამოქმედდა 2024 წლის 1 მარტიდან.

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 13 მაისის №54 და №55 ბრძანებებით ცვლილება შევიდა „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებასა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებაში. განხორციელებული ცვლილების შედეგად, დადგინდა შეწყვეტილ ან უარყოფითი შედეგით დასრულებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების/ქმედების გასაჩივრების შემთხვევაში ელექტრონული გარანტიის დაბრუნების წესი. აღნიშნული ცვლილებები ამოქმედდა 2024 წლის 20 მაისიდან.

- ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ხელშეწყობის, აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2024 წლის 2 მაისის №647 განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფად, გამოიცა „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 13 მაისის №56 ბრძანება. განხორციელებული ცვლილების შედეგად განისაზღვრა, რომ ბრძანების დანართი №2-ით გათვალისწინებულ კონკრეტულ CPV კოდზე, ელექტრონული ტენდერი შესაძლებელია ჩატარდეს პრეისკურანტის საფუძველზე აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება ზემოაღნიშნული განკარგულების შესაბამისად.

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 24 ოქტომბრის №57 და №58 ბრძანებებით ცვლილება შევიდა „სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მომხმარებლის რეგისტრაციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენების

წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 მაისის №5 ბრძანებასა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებაში. განხორციელებული ცვლილების შედეგად განისაზღვრა სტუმრის მიერ SMP მოდულში მოსაზრების წარდგენის წესი და დადგინდა, რომ სტუმრის მიერ სისტემაში შესვლის შემდეგ, მობილური ტელეფონის ნომრის მეშვეობით ერთჯერადი ვერიფიკაციის გავლის შემთხვევაში, მას დამატებით აქვს შესაძლებლობა, დადგენილი წესით, წარადგინოს მოსაზრება SMP მოდულში შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე.

3. ცენტრალიზებული შესყიდვები

2024 წელს, საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად მართვისა და ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ცენტრალიზებული შესყიდვების (ე.წ. კონსოლიდირებული ტენდერების) გზით გამოავლინა გამარჯვებული სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე 305 ტენდერის ფარგლებში (იხ. ცხრილი N15).

ცხრილი N15: 2024 წელს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერების რაოდენობა შესყიდვის ობიექტის მიხედვით

N	შესყიდვის ობიექტი	გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა (გამარჯვებული გამოვლენილია)
1	ფარმაცევტული პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	87
2	სხვადასხვა სახის საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები (მოსწავლეების ტრანსპორტირება)	62
3	სხვადასხვა ზომის დიდი და მცირე ტვირთამწეობის საბურავები	48
4	ძალოვანი სტრუქტურებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა საკვები პროდუქტები	37
5	თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა საკვები პროდუქტები	14
6	სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურება	11
7	საწვავი	6
8	სამედიცინო სახარჯი მასალების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	6
9	ერთჯერადი სამედიცინო ხელთათმანების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	4
10	სატელევიზიო საეთერო დრო (wGRP)	4
11	A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდი	3
12	წიგნების ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება (გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები)	3
13	საწვავი ბრიკეტები	2
14	M3 კატეგორიის საქალაქო ავტობუსი და მათი გეგმიური ფლობის მომსახურება	1

15	M2 კატეგორიის ავტობუსი და მათი გეგმიური ფლობის მომსახურება	1
16	M3 კატეგორიის და მათი გეგმიური ფლობის მომსახურება.	1
17	ოპერატიული დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალება და მათი გეგმიური ფლობის მომსახურება.	1
18	სატრანსპორტო საშუალებების ძრავის ზეთებისა და ზეთის ფილტრების შესყიდვა	1
19	სატრანსპორტო საშუალებების აკუმულატორების შესყიდვა	1
20	პრინტერები და კარტრიჯები	1
21	უწყვეტი კვების წყაროები	1
22	პერსონალური კომპიუტერები	1
23	ლეპტოპები	1
24	ლეპტოპები სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის“	1
25	სასკოლო მერხები და სკამები	1
26	ოქროსა (მოოქროვილი) და ვერცხლის (მოვერცხლილი) მედლებისა და მათთვის განკუთვნილი ყუთები	1
27	არასტერილური სამედიცინო მარლისა და ბახილების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	1
28	ნიღაბის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	1
29	საოფისე სავარძელი (გორგოლაჭიანი)	1
30	საკონფერენციო სკამი	1
31	სხვადასხვა სახის საოფისე ავეჯი	1
	სულ:	**305**

კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარების მიზნით, განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი სამართლებრივი და ორგანიზაციული ღონისძიებები. მომზადდა საქართველოს მთავრობის განკარგულებების პროექტები კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარების შესახებ, ასევე თითოეული კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუშები, რომლებიც განთავსდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ცხრილი N16: 2024 წელს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერები შესყიდვის ობიექტის, რაოდენობის, საწყისი ჯამური ღირებულებისა და ეკონომიის მიხედვით [15]

N	შესყიდვის ობიექტი	გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა (გამარჯვებული გამოვლენილია)	გამოცხადებული რაოდენობა (შესყიდვის ობიექტების მიხედვით)	საწყისი ჯამური ღირებულება (ლარი)	ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული ჯამური ღირებულება (ლარი)	ელექტრონულ ტენდერში ვაჭრობის შედეგად მიღებული ჯამური ეკონომია (ლარი)	სავარაუდო ეკონომია (საშუალო საბაზრო ფასთან მიმართებაში) ლარი
1	პრინტერები და კარტრიჯები	1	8,368 ერთეული პრინტერი და 153,846,000 მისთვის განკუთვნილი კარტრიჯების გვერდის ბეჭდვის რაოდენობა	13,401,780.00	13,401,780.00	-	9,100,048.00
2	უწყვეტი კვების წყაროები	1	11,827 ერთეული იუპიესი	1,005,295.00	939,063.80	66,231.20	126,903.71
3	პერსონალური კომპიუტერები	1	12,592 ერთეული დესკტოპი	23,295,200.00	23,295,200.00	-	5,414,560.00
4	ლეპტოპები	1	4,626 ერთეული ლეპტოპი	8,326,800.00	8,326,800.00	-	1,336,914.00
5	ლეპტოპები - სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის“	1	20,500 ერთეული ლეპტოპი	32,513,000.00	32,513,000.00	-	5,945,000.00
6	A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდი	3	710 000 შეკვრა საბეჭდი ქაღალდი	5,662,500.00	5,654,500.00	8,000.00	1,714,673.75
7	საწვავი	6	82 600 000 ლიტრი საწვავი	224,147,000.00	224,147,000.00	-	66,868,958.16
8	სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურება	11	461 შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული - 14 860 სატრანსპორტო საშუალებისთვის, რომელთა ჯამური საბალანსო ღირებულება შეადგენს - 641 232 979.81 ₾	25,574,833.05	22,836,132.98	2,738,700.07	9,225,516.00
9	M3 კატეგორიის საქალაქო ავტობუსი და მათი გეგმიური ფლობის მომსახურება	1	40 ავტობუსი	68,494,800.00	66,791,000.00	1,703,800.00	-
10	M2 კატეგორიის ავტობუსი და მათი გეგმიური ფლობის მომსახურება	1	100 ავტობუსი	15,944,800.00	15,944,800.00	-	-
11	M3 კატეგორიის ავტობუსი და მათი გეგმიური ფლობის მომსახურება.	1	25 ავტობუსი	16,908,450.00	16,823,750.00	84,700.00	-
12	ოპერატიული დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალება და მათი გეგმიური ფლობის მომსახურება.	1	35 ავტოსატრანსპორტო საშუალება	2,152,465.00	2,066,400.00	86,065.00	-
13	სატრანსპორტო საშუალებების ძრავის ზეთებისა და ზეთის ფილტრების შესყიდვა	1	384 975 ლიტრი ზეთი და 57 000 ცალი ფილტრი	5,089,770.53	5,089,770.53	-	2,035,908.21
14	სატრანსპორტო საშუალებების აკუმულატორების შესყიდვა	1	11680 ცალი აკუმულატორი	2,370,606.00	2,370,606.00	-	948,242.40
15	სხვადასხვა ზომის დიდი და მცირე ტვირთამწეობის საბურავები	48	73 992 ცალი საბურავი	22,160,463.00	21,113,414.00	1,047,049.00	8,199,371.31

[15] ვინაიდან ტენდერების უმრავლესობა აერთიანებს მრავალი სხვადასხვა დასახელების, სახეობისა თუ სპეციფიკაციის პროდუქტს, შეუძლებელია ზუსტი ეკონომიის გამოთვლა საბაზრო ფასებთან შედარებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომია საბაზრო ფასებთან მიმართებაში, დათვლილია მიახლოებით, საცალო ბაზარზე არსებული ფასების გასაშუალოებულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, სხვადასხვა სტატისტიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებით.

16	ძალოვანი სტრუქტურებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა საკვები პროდუქტები	37	99 დასახელების საკვები პროდუქტები	27,912,582.89	26,645,559.03	1,267,023.86	19,853,836.20
17	თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა საკვები პროდუქტები	14	56 დასახელების საკვები პროდუქტები	24,254,400.60	21,129,082.23	3,125,318.37	21,882,789.30
18	ნიგნების ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება (გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები)	3	5 452 841 სახელმძღვანელო	18,468,740.45	18,468,740.45	-	50,117,923.54
19	სასკოლო მერხები და სკამები	1	41 700 კომპლექტი სასკოლო მერხი და სკამი	6,672,000.00	6,672,000.00	-	2,502,000.00
20	ოქროსა (მოოქროვილი) და ვერცხლის (მოვერცხლილი) მედლებისა და მათთვის განკუთვნილი ყუთები	1	ოქროს (მოოქროვილი) მედალი - 5 700 ერთეული; ვერცხლის (მოვერცხლილი) მედალი - 1 450 ერთეული; ჩასადები ყუთი - 7 150 ერთეული.	253,725.00	177,550.00	76,175.00	1,047,900.00
21	საწვავი ბრიკეტები	2	3247.2 ტონა	3,247,200.00	3,241,360.20	5,839.80	1,629,439.80
22	სხვადასხვა სახის საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები (მოსწავლეების ტრანსპორტირება)	62	სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება სულ 62 მუნიციპალიტეტში	54,272,330.88	51,318,360.00	2,953,970.88	-
23	ფარმაცევტული პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	87	612 სხვადასხვა დასახელების, დოზის და ფორმის 14,241,848 ცალი მედიკამენტი	13,510,451.72	11,877,203.75	1,633,247.98	21,099,674.40
24	არასტერილური სამედიცინო მარლისა და ბახილების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	1	1,398,532 წყვილი ბახილი და 184,803 ცალი არასტერილური სამედიცინო მარლა	453,017.54	430,841.18	22,176.36	620,324.88
25	ერთჯერადი სამედიცინო ხელთათმანების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	4	14,586,611 წყვილი სამედიცინო ხელთათმანი	2,033,576.97	1,909,894.93	123,682.04	9,385,616.60
26	სამედიცინო სახარჯი მასალების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	6	80 სხვადასხვა დასახელების 23,893,300 ცალი სამედიცინო სახარჯი მასალა	2,313,923.58	1,970,295.78	343,627.81	5,118,988.93
27	ნიღაბის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	1	2,886,345 ცალი ნიღაბი	115,453.80	101,022.08	14,431.73	457,004.63
28	სატელევიზიო საეთერო დრო (wGRP)	4	აღნიშნული კონსოლიდირებული ტენდერი არ ცხადდება სავარაუდო რაოდენობაზე, თუმცა 2024 წლის განმავლობაში შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შესყიდულმა სატელევიზიო საეთერო დრომ (WGRP) ჯამში შეადგინა - 70 113.33 wGRP, ჯამური ღირებულებით - 5 151 660.00 ₾	აღნიშნული კონსოლიდირებული ტენდერი არ ითვალისწინებს ელექტრონული ვაჭრობის გამართვას. კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად ვლინდება ყველა ის პრეტენდენტი, რომელიც დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებსა და მიუთითებს დოკუმენტაციით განსაზღვრულ ერთეულის ფასს.	-		14,880,720.00
29	საოფისე სავარძელი (გორგოლაჭიანი)	1	11175 საოფისე სავარძელი	2,844,037.50	2,212,650.00	631,387.50	1,139,850.00
30	საკონფერენციო სკამი	1	17578 საკონფერენციო სკამი	993,157.00	905,442.78	87,714.22	817,201.00
31	სხვადასხვა სახის საოფისე ავეჯი	1	13 ტიპის საოფისე ავეჯი, ჯამში 12783 ნაკეთობა (ერთეული)	2,365,403.00	1,999,999.90	365,403.10	1,942,380.00
	სულ:	**305**		**626,757,764**	**610,373,220**	**16,384,544**	**263,411,745**

ზემოთ განთავსებულ N16 ცხრილში მოყვანილია 2024 წელს კონსოლიდირებული ტენდერების გზით განხორციელებული შესყიდვების შესახებ დეტალური ინფორმაცია. 2024 წელს, კონსოლიდირებული ტენდერების გზით განხორციელებული შესყიდვების საწყისმა სავარაუდო ჯამურმა ღირებულებამ 627 მილიონ ლარამდე შეადგინა (აღსანიშნავია, რომ ღირებულებაში გათვალისწინებულია მრავალწლიანი შესყიდვებიც, რომელთა ფარგლებშიც ანგარიშსწორება იწყება 2024 წელს); 610 მილიონ ლარს გადააჭარბა ელექტრონულ ვაჭრობაში დაფიქსირებულმა საბოლოო ღირებულებამ, ხოლო 16,4 მილიონ ლარამდე შეადგინა ვაჭრობის შედეგად მიღებულმა ეკონომიამ.

აღსანიშნავია, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც სააგენტოს მიერ ჩატარებული ეფექტიანი ბაზრის კვლევისა და კონსულტაციების შედეგად, კონსოლიდირებულ ტენდერებში საწყის სავარაუდო ფასებად ფიქსირდება მინიმალური ფასები, რის გამოც ელექტრონული ვაჭრობის შედეგად მიღებული ეკონომია მცირდება. აღნიშნულ შემთხვევებში, ცენტრალიზებული შესყიდვების ეფექტიანობის გამოსახატად, მხოლოდ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად მიღებული ეკონომიის მაჩვენებელი არ იძლევა ობიექტურ სურათს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ცენტრალიზებული შესყიდვების რეფორმის შედეგების ობიექტურად შესაფასებლად, მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს ასევე საცალო და საბაზრო ფასები.

2024 წელს კონსოლიდირებული ტენდერების გზით მიღებულმა ჯამურმა ეკონომიამ შესაბამისი შესყიდვის ობიექტების საცალო და საბითუმო ფასებთან მიმართებაში გადააჭარბა 263 მილიონ ლარს. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ თანხაში არ შედის სხვადასხვა შესყიდვის ობიექტების ყველა სახის დანაზოგი.

2024 წლის განმავლობაში კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის ელ.-სისტემაში - ctd.spa.ge დანერგილი საწვავისა და საბეჭდი ქაღალდის ნებართვის სპეციალიზებულ მოდულში, შემსყიდველების მხრიდან წარმოდგენილი იყო საწვავისა და ქაღალდის შეძენის მიზნით 5,500-ზე მეტი ნებართვის განაცხადი; აღნიშნულზე სააგენტოს მხრიდან განხორციელდა დროული რეაგირება და თითოეულ ნებართვას მიენიჭა შესაბამისი სტატუსი შემუშავებული რეგულაციებისა და მითითებების გათვალისწინებით.

ისევე როგორც გასულ წლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო კვლავ ინტენსიურად აგრძელებს ანალიტიკურ და კვლევით საქმიანობას, რათა მოხდეს სხვა, დამატებითი შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირება, რომელთა ცენტრალიზებული შესყიდვაც გამართლებული იქნება საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვის პრინციპის ან სხვა გარემოებების გათვალისწინებით.

4. გამარტივებული შესყიდვები

2024 წელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამარტივებული შესყიდვების ნებართვების სპეციალიზებულ SMP მოდულში შემოვიდა სულ 3,623 განცხადება. აღნიშნული მომართვებიდან 3,325 მომართვაზე გაიცა თანხმობა, 34 განცხადება გამოქვეყნდა, 7 გაუქმდა, ხოლო 257 მომართვა გახმობილი, უარყოფილი ან განუხილველი დარჩა.

2024 წელს, კანონით განსაზღვრული გამარტივებული შესყიდვის სხვადასხვა საფუძვლების მიხედვით გაცემული 3,623 განცხადებიდან, ყველაზე მეტი ნებართვა გაიცა ექსკლუზიური უფლებამოსილებით 1,471, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე 1,303, შეთანხმება გადაუდებელი აუცილებლობის შესყიდვის შემდგომ, რაც ძირითადად დაკავშირებულია სტიქიური მოვლენების და სალიკვიდაციო ღონისძიებებთან ჯამში 514, ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩასატარებლად 250, ხოლო ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით 85 ნებართვა გაიცა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამებზე წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემები გამარტივებული შესყიდვების საფუძვლებისა და სტატუსების მიხედვით.

დიაგრამა N17: 2024 წელს გამარტივებული შესყიდვების შეთანხმების ელ.მოდულში შემოსული განცხადებების განაწილება მიმართვის საფუძვლის მიხედვით



დიაგრამა N18: 2024 წელს გამარტივებული შესყიდვების შეთანხმების ელ.-მოდულში შემოსული განცხადებების განაწილება მიმართვის სტატუსების მიხედვით



2024 წელს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სააგენტოში მომართვისა და სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკური დეტალური მონაცემები მოცემულია ცხრილი N17-ში.

ცხრილი N17: 2024 წელს გამარტივებული შესყიდვების შეთანხმების ელ.-მოდულში შემოსული განცხადებების დეტალური სტატისტიკა

მომართვის საფუძველი	თანხმობა	გახმობილი	განუხილველი	უარყოფა	გაუქმებულია	გამოქვეყნებულია	ჯამი
გადაუდებელი აუცილებლობა	1,171	70	31	-	3	28	1,303
ექსკლუზიური უფლებამოსილება	1,371	60	39	-	1	-	1,471
ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება	229	16	2	-	3	-	250
ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება	70	12	3	-	-	-	85
შეთანხმება გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომ	484	12	12	-	-	6	514
ჯამი	3,325	170	87	-	7	34	3,623

5. „თეთრი სიის“ წარმოება

2023 წელთან შედარებით, მცირედით გაზრდილია სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კვალიფიციურ მიმწოდებლის რეესტრში, ე.წ. “თეთრ სიაში“ ეკონომიკური ოპერატორების დარეგისტრირების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების ჯამური რაოდენობა. 2024 წელს, აღნიშნულმა მონაცემმა 262 შეადგინა (2023 წელს - 241). აქედან, 143 მიმწოდებელი დარეგისტრირდა თეთრ სიაში (2023 წელს - 143), რეგისტრაცია გაუგრძელდა 89 მიმწოდებელს (2023 წელს - 58), უარი ეთქვა 7-ს (2023 წელს - 4), ხოლო განუხილველად დარჩა 51 (2023 წელს - 36) მომართვა (იხ. N19 დიაგრამა).

დიაგრამა N19: 2024 წელს „თეთრ სიაში“ რეგისტრაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების განაწილება სტატუსების მიხედვით



6. „შავი სიის“ წარმოება

ისევე როგორც 2023 წელს, შემცირებულია არაკეთილსინდისიერ მიმწოდებელთა რეესტრში, ე.წ. „შავ სიაში“, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ 2024 წელს მიღებული გადაწყვეტილებები. სულ 465 გადაწყვეტილება (2023 წელს ზემოაღნიშნულმა შეადგინა 521) იქნა მიღებული. აქედან, 337 (2023 წელს 390) შემთხვევაში მიმწოდებლები სააგენტოს მიერ დარეგისტრირდნენ „შავ სიაში“, 95 მიმწოდებელს მიეცა გაფრთხილება (2023 წელს 65), უარი ეთქვა 21-ს (2023 წელს 29), ხოლო განუხილველი დარჩა 12 (2023 წელს 4). აღნიშნული მონაცემების გადანაწილება იხ. N20 დიაგრამაზე.

დიაგრამა N20: 2024 წელს „შავ სიაში“ რეგისტრაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების განაწილება სტატუსების მიხედვით



7. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და სასამართლო დავები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ 2024 წელს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით მოამზადა 38 მოხსენებითი ბარათი. მათი შესწავლის შედეგად, თითოეულ შემთხვევას მიენიჭა შესაბამისი კვალიფიკაცია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლების მიხედვით და წერილობითი შეტყობინებები გაეგზავნა შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციებს. სათანადო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, მომზადდა და სასამართლოს გადაეგზავნა 38 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლებიც შეეხებოდა 151 პირს. სასამართლო განხილვის პროცესში დადგინდა, რომ ყველა შემთხვევა სამართალდარღვევას წარმოადგენდა, რის შედეგადაც დამრღვევ პირებს შეეფარდათ სხვადასხვა სანქცია.

სააგენტოს მონაწილეობით ჩატარდა 387 სასამართლო პროცესი. სააგენტოს მიერ მომზადებული იქნა 24 კერძო საჩივარი ადმინისტრაციულ საქმეზე, აქედან 5 კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, 12 კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო 7 კერძო საჩივარი განხილვის ეტაპზეა (იხ დიაგრამა N 20).

დიაგრამა N20: 2024 წელს შემოსული კერძო საჩივრების რაოდენობა



2024 წელს, შავ სიასთან დაკავშირებით გასაჩივრებული იქნა 57 განკარგულება, რომლებიც ამ ეტაპზე განხილვის პროცესშია. ასევე, გასაჩივრებული იქნა 3 განკარგულება თეთრ სიაში რეგისტრაციასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ, 2024 წელს გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფის ღონისძიება თეთრ სიასთან მიმართებაში, რომლებზედაც სააგენტოს მიერ წარდგენილ იქნა კერძო საჩივრები.

ამასთან, 2024 წელს გასაჩივრებული იქნა 5 კონსოლიდირებული ტენდერი, რომელთაგან შუამდგომლობის საფუძველზე შეწყვეტილ იქნა 2, 3 კი - განხილვის ეტაპზეა.

2024 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 1 საქმე, რაც გასაჩივრებული იქნა სააპელაციო საჩივრის წარდგენის გზით, რის საფუძველზეც სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სააპელაციო მოთხოვნა, აღნიშნულიც გასაჩივრებული იქნა საკასაციო წესით, რომელიც განხილვის ეტაპზეა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ დაიწყო 8 ადმინისტრაციული წარმოება 1% გარანტიის დაბრუნებასთან დაკავშირებით, რომელთაგან 7 საქმის შემთხვევაში პრეტენდენტების მიერ დაბრუნებული იქნა სააგენტოს ანგარიშზე 1% გარანტია, ხოლო 1 საქმის შემთხვევაში წარდგენილი იქნა სარჩელი სასამართლოში თანხის დაბრუნებაზე, აღნიშულ დავაში გამოყენებული იქნა უზრუნველყოფის ღონისძიება კომპანიის მიმართ დავის დასრულებამდე საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების შესახებ, რაც აღსრულებული იქნა სააგენტოს მიერ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო წარმოადგენდა მხარეს 2 სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით, რომლებზეც წარდგენილ იქნა შესაგებლები, ამ ეტაპზე მიმდინარეობს განხილვა.

სასამართლოს მიერ 3 საქმის შემთხვევაში შეჩერებული იქნა ადმინისტრაციული საქმის განხილვა, სამოქალაქო დავის დასრულებამდე, რომლებზეც წარდგენილი იქნა კერძო საჩივრები, შესაბამისად მიმდინარეობს განხილვა. 2024 წელს, წინა წლებში მიღებულ გადაწყვეტილებებზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ წარადგინა 2 საკასაციო საჩივარი, რომლებიც განხილვის ეტაპზეა.

8. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მონიტორინგი

2024 წელს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, eProcurement სისტემაში ინტეგრირებული სერვისის - ავტომატური შეტყობინებების საშუალებით სხვადასხვა რისკ-ფაქტორებისა და კრიტერიუმების მიხედვით გაფილტრული „ხელშეკრულება დადებულია", „შეწყვეტილია", „არ შედგა" და „დასრულდა უარყოფითი შედეგით" სტატუსის მქონე ელექტრონული ტენდერების მონიტორინგი განხორციელდა.

ასევე, დისკვალიფიკაციის დაფიქსირებისთანავე, შემოწმდა ტენდერში პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის შესაბამისობა. კონკრეტულად, გაირკვა, შეესაბამებოდა თუ არა სისტემაში მითითებული დისკვალიფიკაციის საფუძველი შესაბამისი ოქმით მიღებულ გადაწყვეტილებას, რათა თავიდან აცილებულიყო შესაძლო შეუსაბამობა და eProcurement სისტემას არ გაეგზავნა შეცდომით შეტყობინება პრეტენდენტის საგარანტიო თანხის ჩამოჭრა/დაბრუნებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, გადამოწმდა ტენდერების შეწყვეტის პროცესი, კერძოდ, ტენდერების შეწყვეტის ოქმებში რამდენად ზუსტად და სრულად იყო ასახული შესაბამისი მიზეზები.

2024 წელს განხორციელებული პროცედურების მონიტორინგის დეტალური სტატისტიკა ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ N 18 ცხრილში.

ცხრილი N18: 2024 წელს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მონიტორინგის სტატისტიკა

N	პირობა	რაოდენობა
1	რამდენი ტენდერის მონიტორინგი მოხდა რომელთაც აქვთ სტატუსი "ხელშეკრულება დადებულია"	13,433
2	რამდენი ტენდერის დამუშავება მოხდა რომელთაც აქვთ სტატუსი "შეწყვეტილია", "არ შედგა", "დასრულებულია უარყოფითი შედეგით"	1,815
3	რამდენი ტენდერის მონიტორინგი განხორციელდა სისტემაში პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენის მიზნით	6,727
4	რამდენი კონკურსის მონიტორინგი განხორციელდა	31
5	რამდენი მოხსენებითი ბარათი მომზადდა ადმინისტრაციულის კუთხით	38
6	რამდენი წერილი იქნა გაგზავნილი გამოვლენილი დარღვევების შესახებ	1,873
7	რამდენი გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული ხელშეკრულების მონიტორინგი განხორციელდა	32,715
8	რამდენი მოხსენებითი ბარათი იქნა მომზადებული, როგორც ტენდერების სტატუსისა და ტენდერებში პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის ცვლილებასთან, ასევე დადებული ხელშეკრულებებისათვის (როგორც ტენდერის, ასევე გამარტივებული შესყიდვის გზით) მინიჭებული საბოლოო სტატუსების ცვლილებასთან მიმართებაში.	1,252

9. ადამიანური რესურსების განვითარება

2024 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის ფარგლებში განხორციელდა ტრენინგები რამდენიმე განსხვავებული პროგრამით:

- "საჯარო შესყიდვების შესახებ" ახალი კანონი;
- „სახელმწიფო შესყიდვების საბაზისო კურსი";
- ტრენინგი ტრენერთათვის - „საჯარო შესყიდვების სფეროს რეფორმა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში";

მხოლოდ 2024 წელს სააგენტოს სასწავლო ცენტრში ჩატარდა ტრენინგების 11 ციკლი (ნაკადი), რომელშიც მონაწილეობდნენ მსმენელები საქართველოს ყველა რეგიონიდან და წარმოდგენილი იყვნენ შემსყიდველი ორგანიზაციების ფართო სპექტრი ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებიდან დაწყებული და მუნიციპალიტეტების მცირე ზომის შპს ან ა(ა)იპ-იების ჩათვლით. მსმენელთა ჯგუფებში წარმოდგენილი იყვნენ სახელმწიფო უწყებების, მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მერიების, გამგეობებისა და საკრებულოების როგორც შესყიდვების სპეციალისტები, ასევე სხვა ხელმძღვანელი პირები. დამატებით, სპეციალური კურსები ჩაუტარდა საქართველოს მთავარი პროკურატურისა და სამშენებლო ინდუსტრიის ბიზნეს-ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

სასწავლო ცენტრის მსმელებმა მოისმინეს ლექციები და პრეზენტაციების, ასევე პრაქტიკული სავარჯიშოებით გაიღრმავეს ცოდნა, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების საკანონმდებლო საფუძვლებთან, ფაზებთან, საშუალებებთან, მეთოდებთან, პროცედურებთან, ინსტრუმენტებთან თუ სხვა დებულებებთან დაკავშირებით. ასევე, განხილულ იქნა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, თანამედროვე გამოცდილება, რომელიც დაეხმარება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეებს სახელმწიფო შესყიდვების კანონშესაბამის განხორციელებაში, რაც გულისხმობს, სახელმწიფო ბიუჯეტის გამჭვირვალედ ხარჯვას და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილე ნებისმიერი პირისთვის.

2024 წელს გადამზადებული მსმენელების რაოდენობამ 273, ხოლო 2014-2024 წლებში ჯამურად 7,292 შეადგინა.

ასევე, ზემოთხსენებული კურსების გარდა, 2024 წლის განმავლობაში დამატებითი ტრენინგები ჩატარდა შემდეგი განსხვავებული პროგრამებით:

- USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამისა და USAID-ის ადგილობრივი მმართველობის პროგრამის ხელშეწყობით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის ტრენერებს საერთაშორისო კონსულტანტმა ჩაუტარა ტრენინგი თემაზე „საჯარო შესყიდვების სფეროს რეფორმა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში“.
- სახელმწიფო შესყიდვების ოპერაციების და შესაბამისად მოცულობის მნიშვნელოვანი წილი სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე მოდის და, შესაბამისად, ICCA, რომლის წევრებიც აქტიურად არიან ჩართული სახელმწიფო შესყიდვების ტენდერებში, დიდი ინტერესი გამოავლინეს მის წევრებში ახალი პროცედურების შესახებ ცოდნის გავრცელებით. შედეგად, GIZ-ის პროექტის „VET საქართველოს ზრდის სექტორში“ მხარდაჭერით, ICCA-მ მოაწყო ტრენინგების სერია სამშენებლო სექტორის წარმომადგენლებისთვის.

სასწავლო ცენტრი აქტიურად თანამშრომლობდა უცხოურ და ადგილობრივ პარტნიორ-ორგანიზაციებთან. მათ, როგორც დონორებმა და პარტნიორებმა, დიდი წვლილი შეიტანეს ერთობლივი ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზებაში.

10. მომხმარებლებთან საქმიანი კომუნიკაცია

2024 წელს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აქტიურად აწარმოებდა მიზნობრივი ჯგუფების ინფორმირებას შესყიდვების სისტემის შესახებ როგორც საკანონმდებლო, ასევე, ინსტიტუციური და შესყიდვების ელექტრონული სისტემის გამოყენების კუთხით.

ამასთან, 2024 წლის მდგომარეობით:

- სააგენტოში შემოვიდა და გატარდა 11,565 წერილი;
- გაგზავნილ იქნა 3,784 წერილი;
- info@procurement.gov.ge-ის ფოსტაზე შემოვიდა და მსვლელობა მიეცა 4,700 წერილს; გაიგზავნა 2,382 წერილი.

eProcurement სისტემაში ჩაშენებული მოკლე ტექსტური შეტყობინებებისა (SMS) და სისტემური შეტყობინებების მეშვეობით, ასევე ვებ-პორტალის procurement.gov.ge სერვისების მეშვეობით, სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესებულ პირებს საშუალება ეძლევათ მუდმივ რეჟიმში იყვნენ ინფორმირებული სიახლეების, ცვლილებების, განცხადებების, რეკომენდაციების, ინსტრუქციების, ახალი რეგულაციების შემოღებისა და სხვა სერვისების განვითარების შესახებ. ასევე, ყველა მომხმარებელს ეძლევა საშუალება მიიღოს დროული და ამომწურავი ინფორმაცია მათთვის საინტერესო ტენდერების შესახებ. მხოლოდ 2024 წელს გაგზავნილი სისტემური შეტყობინებების ჯამურმა რაოდენობამ დაახლოებით 49 მილიონამდე, ხოლო მოკლე ტექსტური შეტყობინებების რაოდენობამ კი 228,542 შეადგინა.

მოქალაქეთა და მომხმარებელთა მომსახურების ცენტრში შემოვიდა და პასუხი გაეცა 14,522 ზარს (ცხელი ხაზის თანამშრომლები, აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში, პასუხს სცემენ როგორც კანონმდებლობით განსაზღვრულ დებულებებზე ასევე, შინაარსობრივ, ელექტრონული სისტემით სარგებლობის, მონიტორინგის, კონსოლიდირებული შესყიდვების და ა. შ. საკითხებზე).

ცხელ ხაზზე შემოსული ზარების სტატისტიკა		
	რაოდენობა	%
ტექნიკური პარამეტრები/სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებული კითხვები	7,116	49.0
საბანკო მომსახურეობასთან დაკავშირებული საკითხები	1,239	8.5
კანონმდებლობასთან დაკავშირებული კითხვები	3,256	22.4
დავებთან/დავების საბჭოსთან დაკავშირებული კითხვები	824	5.7
კონსოლიდირებული ტენდერები	1,972	13.6
გადაუდებელი აუცილებლობიდან გამოწვეული შესყიდვები	94	0.6
სხვა	21	0.1
სულ	**14,522**	**100**

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დადგენილ ვადაში პასუხი გაეცა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით წარმოდგენილ 36 განცხადებას.

11. საერთაშორისო ურთიერთობები

მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა აქტიური მოლაპარაკებები და თანამშრომლობა ევროკომისიის 4 გენერალურ დირექტორატთან (DG GROW, DG TRADE, DG NEAR, DG DEFIS); გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა, მათ შორის აღსანიშნავია 2024 წლის მაისში, ქ. ბრიუსელში DG GROW დირექტორატში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დელეგაციის მიერ გამართული რამდენიმედღიანი ინტენსიური კონსულტაციები, სადაც განხილული იქნა საჯარო შესყიდვების ახალ კანონთან დაკავშირებით ევროკომისიის მიერ გამოთქმული რეკომენდაციები და შენიშვნები. ევროკომისიის მიერ გამოთქმული შენიშვნების მოცულობიდან გამომდინარე, 2024 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ევროკავშირთან სრულფასოვანი დაახლოებისა და საკანონმდებლო სივრცის უწყვეტობისა და ერთიანობის შენარჩუნების მიზნით, „საჯარო შესყიდვების შესახებ“ ახალი კანონის ამოქმედების თარიღი გადაწეული ყოფილიყო 2027 წლის 1 იანვრამდე. აღნიშნული ცვლილება, მთავრობის ინიციატივითა და პარლამენტის მხარდაჭერით განხორციელდა.

2024 წლის განმავლობაში, პერიოდულად მზადდებოდა სააგენტოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კვარტალური და წლიური გეგმები და ანგარიშები, მათ შორის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების (AA-DCFTA) და საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმის ფარგლებში; ასევე მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, გაეროს სააგენტოებთან, USAID-ის მიერ დაფინანსებულ პროგრამებთან, GIZ, მსოფლიო ბანკის (WB), აზიის განვითარების ბანკის (ADB), EBRD, სხვა IFIs და OECD/SIGMA-ს ექსპერტებთან/პროექტებთან.

მიმდინარე რეფორმების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე და სამსახურის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობდნენ მთავრობის მიერ შექმნილი სხვადასხვა საკოორდინაციო საბჭოსა თუ კომისიის მუშაობაში.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ვალდებულებების ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ დაიწყო ევროკავშირის კომუნალური სექტორის დირექტივასთან დაახლოების პროცესი. ამ მიზნით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული, ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდამჭერი პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო ექსპერტის მიერ მომზადდა კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის კომუნალური სექტორის დირექტივასთან სამართლებრივ დაახლოებას. კონსულტაციების შედეგად, კანონპროექტში უკვე ასახულია OECD-SIGMA-ს შენიშვნები. ამჟამად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მუშაობს კანონპროექტში, ევროკომისიის მიერ გამოთქმული შენიშვნების ასახვის საკითხებზე.

2024 წელ გაიმართა მოლაპარაკებები კორეის რესპუბლიკასთან ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაზე. შეთანხმების ერთ-ერთი თავი შეეხებოდა საჯარო შესყიდვების სფეროში თანამშრომლობას და საჯარო შესყიდვების ბაზრების გახსნას. მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა 2024 წლის სექტემბერში.

2024 წლის განმავლობაში, „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და შესყიდვების სფეროში მიმდინარე რეფორმების გაცნობის და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით მომზადდა და გამოიცა სახელმძღვანელოების - "მდგრადი საჯარო შესყიდვები" და "საჯარო შესყიდვები ევროკავშირში: გზამკვლევი ქართული ბიზნესისთვის" ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი რედაქციები, ხოლო "ენერგო-ეფექტური საჯარო შესყიდვების" ინგლისურენოვანი რედაქცია.

2024 წლის 28 თებერვალს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ჩატარდა საერთაშორისო სემინარი თემაზე: ,,ხარისხის ინფრასტრუქტურა, როგორც საუკეთესო საშუალება საჯარო შესყიდვებში ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად“. სემინარი გაიმართა ევროკავშირის „TWINNING“ პროექტის „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გაძლიერება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად“ ფარგლებში. სემინარს ესწრებოდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები. სემინარი ჩაატარა EU „TWINNING“ პროექტის საერთაშორისო ექსპერტმა დანიელ მასომ.

The specifics of supply procurement
Medium value
Purchasing tangible things
Quality of technical specification is crucially impotant
Contract usually do not last long and do not involve up-front payments
Need to distinguish between off-the-shelf and unique items
USAID
THE USAID ECONOMIC GOVERNANCE PROGRAM
$6.4 BILLION

2024 წლის 18-20 მარტს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში სტუმრად იმყოფებოდა ყირგიზეთის სამთავრობო დელეგაცია, ყირგიზეთის ფინანსთა მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით. მისიის მიზანი იყო საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის, განსაკუთრებით კი, ცენტრალიზებული შესყიდვების სისტემის გაცნობა და ამ კუთხით საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. აღსანიშნავია, რომ ვიზიტი დაიგეგმა მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა, სტუმრებს გააცნეს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მიდინარე რეფორმები და გაუზიარეს ამ კუთხით საკუთარი გამოცდილება.

2024 წლის 21-22 მარტს, რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში, მსოფლიო ბანკის ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო სემინარი, რომელიც ეძღვნებოდა ევროკავშირის ქვეყნებში ცენტრალიზებული შესყიდვების სისტემის განვითარებას. სემინარში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელმა პირებმა.

საერთაშორისო პრაქტიკაში მდგრადი და მწვანე შესყიდვების მნიშვნელობის ზრდის ფონზე, რაც გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის კუთხით ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედია, 29-30 მაისს, თბილისში ჩატარდა მსოფლიო ბანკის რიგით 17-ე PRIMO ფორუმი, „მდგრადი და მწვანე შესყიდვები ცირკულარული ეკონომიკისთვის“. ფორუმს ესწრებოდნენ საერთაშორისო საფინანსო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან 100-ზე მეტი ოფიციალური პირი სხვადასხვა სამთავრობო უწყებიდან. ღონისძიებაზე მოწვეულმა ექსპერტებმა ისაუბრეს მოწინავე გამოცდილებასა და საუკეთესო პრაქტიკაზე საჯარო შესყიდვების სფეროში. ფორუმი მიზნად ისახავდა რეგიონალური და გლობალური თანამშრომლობის მხარდაჭერას, საჯარო შესყიდვების ხარისხის შედეგების გასაუმჯობესებლად.

ფორუმის მსვლელობის პარალელურად გაიმართა რამდენიმე საქმიანი შეხვედრა რომელთაგანაც აღსანიშნავია შეხვედრა კორეის საჯარო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელობასთან. შეხვედრაზე გაფორმდა ორ უწყებას შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებას და გამოცდილების გაზიარებასა საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით. მემორანდუმს ხელი მოაწერეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარემ და კორეის საჯარო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელმა.

2024 წლის 10-11 ივნისს, ყირგიზეთის რესპუბლიკაში გაიმართა საერთაშორისო ფორუმი თემაზე "სახელმწიფო შესყიდვები - ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტი და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება". შეხვედრაზე, ფორუმის მონაწილეები გაეცნენ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მიმდინარე რეფორმებს სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოს მოწინავე გამოცდილებას.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა უზბეკეთის სამთავრობო დელეგაცია, უზბეკეთის კორუფციასთან ბრძოლის სააგენტოს დირექტორის ხელმძღვანელობით. სტუმრები გაეცნენ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების მოქმედ ეკო-სისტემას, იურიდიულ ბაზას, არსებულ პრაქტიკას, გამოყენებულ პროცედურებსა და მონიტორინგის რისკ-ფაქტორებს, ასევე გატარებულ ანტიკორუფციულ ღონისძიებებს. უზბეკმა კოლეგებმა გამოთქვეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი, რომლის მიზანია გამოცდილების გაზიარება და ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობების დამყარება.

2024 წლის 15-16 ივნისს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ, OECD-SIGMA-ს მხარდაჭერით, ჩატარდა ორდღიანი საერთაშორისო სემინარი, რომელიც შეეხო საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებულ ევროკავშირის მოქმედ კანონმდებლობას, საუკეთესო პრაქტიკებს, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას, სასამართლო პროცესებში მოსამართლეთა როლს და სხვა აქტუალურ თემებს. აღნიშნულ სემინარზე მოწვეულნი იყვნენ ავსტრიის ფედერალური მოსამართლე, ხორვატიის დავების განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი და OECD-SIGMA-ს წამყვანი ექსპერტი. შეხვედრაზე მონაწილეობა მიიღეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს, ქუთაისისა და თბილისის სააპელაციო და თბილისის საქალაქო სასამართლოს 20 მოსამართლემ. ქართველი მონაწილეები გაეცნენ ევროპის საჯარო შესყიდვების შესახებ საუკეთესო სასამართლო პრაქტიკას, ხოლო სემინარის ბოლოს გაიმართა დისკუსია.

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის დახმარებით, ლატვიელი ექსპერტის მიერ შემუშავდა სპეციალიზებული სასწავლო კურსი, რომელიც ფოკუსირებული იყო საჯარო შესყიდვების ახალ ევროპულ სტანდარტებზე, წესებსა და პროცედურებზე. სპეციალიზებული სწავლება ჩაუტარდათ სააგენტოს სასწავლო ცენტრის ტრენერებს. მომზადებული, სრულიად ახალი და ინოვაციური სასწავლო კურსი მონაწილეთა გამოხმაურებისა და უკუკავშირის საფუძველზე კიდევ უფრო დაიხვეწა.

17 ივნისს OECD-SIGMA-ს თანაორგანიზებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომელთათვის გაიმართა ტრენინგი ევროკავშირის დირექტივების ძირითად პრინციპებზე და ფართოდ გამოყენებულ პრაქტიკაზე. კვალიფიცირებულმა ექსპერტებმა სლოვენიიდან, ავსტრიიდან და ხორვატიიდან შეხვედრაზე ისაუბრეს შესყიდვების სფეროში ევროკავშირის მოწინავე გამოცდილებაზე, საქართველოს საჯარო შესყიდვების ახალი კანონმდებლობის შესაბამისობაზე ევროკავშირის დირექტივებთან და სატენდერო დოკუმენტებში კონფიდენციალურობის დაცვის მნიშვნელობაზე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელმა პირებმა, 2024 წლის 3-4 ნოემბერს მონაწილეობა მიიღეს კორუფციის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის (UNCAC) ფარგლებში, კონვენციით გათვალისწინებული საკითხების შესრულების სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში. კონვენციის ფარგლებში განხორციელდა გაეროს ნარკოტიკების და დანაშაულის ოფისის (UNODC) შემფასებლების მიერ ქვეყანაში ვიზიტი, რომლის დროსაც შემფასებლებმა დეტალურად განიხილეს საქართველოს პროგრესი კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.

2024 წლის 11-12 დეკემბერს, აზიის განვითარების ბანკის მიერ, (ADB) ფილიპინების ქალაქ მანილაში ჩატარდა აზიისა და წყნარი ოკეანის საჯარო ელექტრონული შესყიდვების ქსელის მე-10 კონფერენცია. კონფერენციაზე განხილული იქნა საჯარო შესყიდვების ციფრული ტრანსფორმაციის და ელექტრონული შესყიდვების გამოყენების ასპექტები უფრო ფართო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად მდგრადი განვითარების და კეთილდღეობის კუთხით.

2024 წლის 13 დეკემბერს, აზიის განვითარების ბანკმა ჩაატარა ტრენინგი საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების უსაფრთხოების თაობაზე. ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ სხვადასხვა მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკებს ელექტრონული შესყიდვების სისტემების უსაფრთხოდ შენარჩუნებისთვისა და ოპერაციული შესაძლებლობის გაზრდის თაობაზე.

12. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა

European Commission

NATO OTAN

UNDP

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES

SIGMA

UN WOMEN United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

ILO International Labour Organization

UN environment

TAIEX

TWINNING

Delegation of the European Union to Georgia

UNOPS

UN GLOBAL COMPACT

გერმანიის თანამშრომლობა DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz

Sida

WORLD TRADE ORGANIZATION

CLDP COMMERCIAL LAW DEVELOPMENT PROGRAM

THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

UKaid from the British people

cim Centre for International Migration and Development a joint operation of GIZ and the German Federal Employment Agency

European Bank for Reconstruction and Development

European Investment Bank

DFID Department for International Development

ADB Asian Development Bank FIGHTING POVERTY IN ASIA AND THE PACIFIC